



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31210351

თარიღი:04/02/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

29. 01. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანამემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს. **კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ოთარ პატიეშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან განმარტა, რომ ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს, რომელიც 2021 წლისთვის დაფინანსების გაზრდის შედეგად განაწილებულია შემდეგნაირად:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი

სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი - 400 ლარი, II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 200 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი - 600 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 300 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 800 ლარი, II ადგილი - 600 ლარი, III ადგილი - 400 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი.

2. წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი; ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი - 500 ლარი, II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 200 ლარი; გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი - 600 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 300 ლარი; დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი.

3. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის I-ადგილი 1000 ლარი, II-ადგილი 700 ლარი, III-ადგილი 500 ლარი.

ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს საბიუჯეტო წლის მანძილზე ერთჯერადად გასაცემი თანხით 300 ლარის ოდენობით.

წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი - 200 ლარი.

მედია-პროექტის ფინალისტების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) მედია-პროექტის გამარჯვებული I ადგილი - 500 ლარი;

სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლე - 500 ლარი;

ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე - 300 ლარი.

ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელი - 1 000 ლარი.

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი

ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

ხელოვნების წარმომადგენლობების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 800 ლარი;

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 1000 ლარი.

შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 100

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი ან/და საპატიო წოდების მინიჭება - 200 ლარი.

გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 400 ლარი; II ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი.

ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 1500 ლარისა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N1 (29.01.2021)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ**. მან განმარტა, რომ უნდა დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამები:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

- ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;
- ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა;
- გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა.

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა:

- ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა;
- ბ) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;
- გ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა;
- დ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა;
- ე) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ქვეპროგრამა.

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა:

- ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა;
- ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა;
- გ) მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზების ქვეპროგრამა;
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა;
- ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა:

- ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა;
 - ბ) შშმ ახალგაზრდობის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.
- საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N1 (29.01.2021)**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსიმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მისი განმარტებით, წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ფულადი სოციალური დახმარების სახეები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 03)

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. (პროგრამის კოდი 06 02 10)

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 11)

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 13)

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 14)

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 15)

ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 16)

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლედ შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 17)

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. (პროგრამის კოდი 06 02 18)

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 19)

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ

ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 20)

ფ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 21)

ქ) ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22)

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23)

ყ) კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 24)

შ) კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 25)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა -განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი ან ცნობა რომ ოჯახი არ არის

დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება, უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა.

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-

სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

მ) მიძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“ გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (ომის ვეტრანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან) თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს.

ჟ) შშმ პირის სატატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლედ შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა - ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში -

მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ. რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში-პირის კანონიერი წარმომადგენლის/ მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში - მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ფ) 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი

წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

ქ) ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ფორმა N100/ა და ანგარიშფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულებიდან. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე.

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი. პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მუნიციპალიტეტი შეარჩევს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი.

ბ) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ - ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით;

გ) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/ მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS, VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;

ე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად).

რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

ყ) კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები, რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების, კვლევების ჩასატარებლად და გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. გადაწყვეტილება მიიღება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

შ) კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-თ გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ა(ა)იპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი, ბახილი, ერთჯერადი ხალათი, სადუზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი).

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N2 (29.01.2021)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გიორგი პერტაიამ, რომელმაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას შორის 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების (ქ.ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-შიმდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) მეორე სართულზე მდებარე N15 ფართი-26.51 კვ.მ.) ვადის ამოწურვის გამო, ითხოვა 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით, აღნიშნული ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ამისთვის სამსახურმა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 18 615, 3 ლარიდან განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 930,8 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N2 (29.01.2021)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2685681 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე უნდა მიიმართოს 141406 ლარი, სულ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება განისაზღვრა 2827087 ლარი. აქედან: დრმაღელე-ორმეთის გზის რეაბლიტაციაზე 1612148 ლარი. მ.შ. საკუთარი სახსრებით 84850 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბლიტაცია 211028 ლარი, მ.შ. საკუთარი სახსრებით 11160 ლარი და ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბლიტაციაზე 862505 ლარი. მ.შ. საკუთარი სახსრებით 45396 ლარი. პროექტების განხორციელებაზე თანადაფინანსებით მიმართული 141406 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს 2021 წლის 01 იანვრისთვის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** იქვე შენიშნა, რომ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, 2021 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19 % შეადგენს 1 019 730.0 ათას ლარს, საიდანაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,74%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 7 520,3 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით. გარდა ამისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 1 300,0 ათასი ლარი და შესაბამისად, სულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის 2021 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 8 820,3 ათას ლარს. საბოლოო ჯამში, ბიუჯეტით განსაზღვრული ქონების გადასახადი უნდა შემცირდეს 200 000 ლარით (საწარმოთა ქონების გადასახადი-100 000 ლარით, უცხოურ საწარმოთა გადასახადი-100 000 ლარით).

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს იმასთან დაკავშირებით, რომ საკითხს ახლდეს იმ ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და პროექტების

კონკრეტული ჩამონათვალი, რომლის დაფინანსებაზეც თანხა მიიძღვრება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N3 (29.01.2021)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყეაძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX ITL X CX K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი მუხლის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN = 0,38 X 1 X 0,24 X 100 = 9,12$.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N4 (29.01.2021)**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ციცინო ჩხაიძემ** დასვა საკითხი ქალაქის ცენტრში არსებული უსახური და ჩამონგრეული შენობების ფასადების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, კანონის შესაბამისად, აუცილებლად უნდა დაევალოს კერძო მეპატრონეებს გარკვეული დროის ფარგლებში იზრუნონ და მოაწესრიგონ თავიანთ მფლობელობაში არსებული აგარიული შენობის ფასადები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ გასარკვევია, იურიდიულად რა ზომების გატარება შეუძლია მუნიციპალიტეტს. საკრებულომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება კერძო მესაკუთრეების იძულებასთან დაკავშირებით, რათა მათ იზრუნონ და მოაწესრიგონ კუთვნილი შენობის ფასადები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას რამდენჯერმე ქონდა შეხვედრა ფართის მფლობელებთან, მაგრამ რაიმე შედეგი დღემდე არ მოყოლია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურთან ერთად უნდა მოხდეს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარემ **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ძალიან კარგი სოციალური პროგრამები, რომლებიც ძირითადად ხორციელდება ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მან უკმაყოფილება გამოთქვა ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის საქმიანობასთან დაკავშირებით. საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წითელი ჯვრის მიერ ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას სოფელ ნინოშვილში მხოლოდ ერთი პიროვნება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც მიიღო ეს დახმარება. დეპუტატის თქმით, მხოლოდ მის ქუჩაზე არის 85 წელს გადაცილებული სამი ქალბატონი, რომლებიც წესით, უნდა ჩართულიყვნენ კონკრეტულ პროგრამაში. როგორც მისთვისაა ცნობილი, ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატსაც არ ქონდა აღნიშნული სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაცია. როგორც წესი, მუნიციპალიტეტის მერი ასეთი აქციის შესახებ ინფორმაციას აწვდის მერის

წარმომადგენლებს, რომლებიც თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებენ მაქორიტარ დეპუტატებს. საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარემ იქვე შენიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულში თითქმის ყველა მიმართულებით-სოციალური იქნება ეს თუ ინფრასტრუქტურა, ცუდი მდგომარეობაა, რაც გარკვეულწილად მერის წარმომადგენლის ნაკლები აქტიურობითაცაა განპირობებული.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, საჯარო მადლობის ღირსია ორგანიზაცია, რომლის ძალისხმევითაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით 480 ოჯახს გადაეცა აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარება. მაქსიმალურად ეცადნენ, რომ ყველა ის მარტოხელა მოხუცი, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები ან ცხოვრობენ ისეთ პირობებში, რომ საჭიროებენ დახმარებას, დაეკმაყოფილებინათ. შესაბამისად, მერის ყველა წარმომადგენელი იყო გაფრთხილებული, რათა დროულად ქონოდათ ინფორმაცია და სიები. აქედან გამომდინარე, მასაც გაუკვირდა ის, რომ სოფელ ნინოშვილიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იყო ჩართული ამ პროგრამაში.

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიციანიშვილმა** ლაშისღელის და აგარაკის მშვიდობის ქუჩის მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მესვეურებს იმასთან დაკავშირებით, რომ მოეწყო სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ავტობანის მიმდებარედ ლაშისღელის სასაფლაოსთან გასაკეთებელია დაახლოებით 70 მეტრი სიგრძის ღია კვალი, რადგან არხები ვერ ატარებს წყალს, რის შედეგად იტბორება სასაფლაოს ტერიტორია. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო მე-2 საჯარო სკოლის დარბაზის მოწესრიგების საკითხს და აღნიშნა, რომ დარბაზი ფაქტიურად არის მიწის ქვემოთ, რის გამოც ძალიან დაინესტა და ცუდ მდგომარეობაშია. საჭიროა დრენაჟის მოწყობა, რათა მოგვარდეს პრობლემა. გარდა ამისა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ აგარაკის ბინებთან გაჭედილია დახურული სანიაღვრე არხი, რის შედეგად ვერ ხდება წყლის გატარება და იტბორება როგორც მიმდებარე ტერიტორია, ასევე მოსახლეობა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, გასულ წელს ლაშისღელის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა მოიხრეშა და მოწესრიგდა, რაც შეეხება კვალის გაკეთებას, ყველანაირად შეეცდებიან ამის მოგვარებას. მე-2 საჯარო სკოლის დარბაზთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ამის შესახებ სკოლის დირექტორმა პირველ რიგში უნდა მიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რის შემდეგ ან მუნიციპალიტეტი აიღებს თავის თავზე დარბაზის მოწესრიგების საკითხს, თუ არადა სამინისტროს მხრიდან მოხდება პრობლემის მოგვარება. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ იმყოფებოდა აგარაკის ბინებთან და ადგილზე დაათვალიერა შექმნილი სიტუაცია. პირველ რიგში შეიძლება რომ სანიაღვრე არხები გაიწმინდოს, თუ არადა შემდეგ მოუწევთ ამოჭრა და ჩალაგდება რკინის ცხაურების.

საკრებულოს წევრი **დავით ჩხარტიშვილი** შეეხო საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარის გამოსვლას და განმარტა, რომ რა მიზეზით მოხდა, აღნიშნული დახმარების შესახებ ინფორმაციას რომ არ ფლობდა, ეს მისთვის უცნობია. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულში ცუდი მდგომარეობაა, კოლეგას ვერ დაეთანხმება. ყველასთვის ცნობილია, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული გამოირჩევა რთული რელიეფით, რის გამოც გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მოითხოვს დიდ თანხებს, მიუხედავად ამისა, ფინანსურად რომ მოხდეს შედარება, წინა წლებში ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიხარჯა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში. ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზები მთლიანად მოიხრეშა და დაიტკეპნა. ასფალტი ვერ დაიგო, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, რისი ფინანსური რესურსიც მუნიციპალიტეტს და სახელმწიფო ბიუჯეტს არ გააჩნია, იმის გაკეთება ნამდვილად ვერ მოხერხდება. სადაც განსაკუთრებული რთული სიტუაცია იყო და ფინანსები იძლეოდა ამის შესაძლებლობას, თითქმის ყველაფერი გააკეთდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, რაშიც მუნიციპალიტეტის მერთან ერთად პირადად იყო ჩართული. მხოლოდ ხრეში დაიყარა 80 მანქანა და მოწესრიგდა შიდა გზები.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისთვისაც მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ სოფელ ნინოშვილიდან მხოლოდ ერთ ადამიანს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ სხვა მხრივ ვერანაირად ვერ დაეთანხმება საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარეს. ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიგო 900 მეტრ სიგრძის ასფალტის საფარი, მოიხრეშა და მოწესრიგდა შიდა გზები, გაკეთდა გაბიონები და სხვა. მართალია, ეს საკმარისი არ არის, მაგრამ იმ თანხიდან, რაც ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო, პროცენტულად ყველაზე მეტი ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მიიღო.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ისეთ წარმატებულ სკოლას, როგორცაა ჩიბათის სკოლა, სპორტული კუთხით არაფერი არ გააჩნია-არც ღია

სპორტული მოედანი და არც დარბაზი. შესაბამისი სამინისტროსგან არაერთი დაპირების მიუხედავად, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, რის გამოც ფიზკულტურის ონლაინ გაკვეთილებიც ვერ ჩატარდა. მან დახმარების თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, იმუშადგომლოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა ჩიბათის სკოლაში, რომელმაც ასახელა არა მარტო მუნიციპალიტეტი, არამედ ქვეყანაც, ღია ტიპის სპორტული მოედანი მაინც გაკეთდეს. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სოფლის ახალგაზრდობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო ხელოვნურსაფარიანი სტადიონის გაკეთება და დღემდე არ დასრულებულა. გარდა ამისა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ზემო ჩიბათში 600 მეტრიანი გზის მონაკვეთი არის ძალიან ავარიულ მდგომარეობაში. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, მიმდინარე წლის განმავლობაში როგორმე მოხდეს გზის აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტირება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონული განვითარების ფონდიდან გარდამავალი პროექტების ფარგლებში ბევრი რამ გაკეთდა. თუკი სახელმწიფო მუნიციპალიტეტს დამატებით გამოუყოფს თანხას, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გზის მოწესრიგება და მომზადდება შესაბამისი პროექტი. რაც შეეხება, ხელოვნურსაფარიან სტადიონს, სამი წელია, რაც ხორციელდება სოფლის პროგრამები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია გაკეთდეს სტადიონი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეს პროექტი ვერ განხორციელდება. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სოფლის პროგრამა აღნიშნულ პროექტს არ ყოფნის. გამოდის, რომ სამი წლის განმავლობაში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხა მთლიანად უნდა მოხმარდეს მხოლოდ ამ სტადიონის გაკეთებას. მისი მოსაზრებით, შესაძლებელი უნდა იყოს სხვა პროგრამის თანხით განხორციელდეს ეს პროექტი. დეპუტატი მიესალმება, რომ გასულ წელს ქალაქში სამი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი მოეწყო, მაგრამ ჩიბათში დღემდე ვერა და ვერ მოხერხდა ამ საკითხის მოგვარება.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სხვა პროგრამის თანხით ეს საკითხი ვერ გადაწყდება. მაშინ უნდა შეთანხმებულიყვნენ და შეემციონებინათ ჩიბათში გზის რეაბილიტაციის თანხა, რის ხარჯზეც დასრულდებოდა ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ჩაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიკვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სამ სოფელში, სადაც 1400-მდე ოჯახი ცხოვრობს, საერთოდ არ არის წყალი. როგორც მისთვისაა ცნობილი, დაახლოებით 45 მლნ. ლარი უნდა მიიმართოს მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად. გასულ წლებშიც საკმაოდ თანხა დაინარჯა ამ კუთხით, მაგრამ აღნიშნულ სოფლებში დღემდე არაფერი გაკეთებულა წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, 2017 წელს მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად მასთან მოწოდებული იქნა 5 სოფელი- აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის სოფლები და ჩოჩხათში წიაღობნის უბანი, რომლებიც შესაბამისად, გადაუშინებლად გავრთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას. ეს პროექტები უნდა გაკეთებულიყო 2019 წელს, მაგრამ მოხდა მისი გადადება. შემდგომი წლისთვის გადაცემული იქნა ასევე ნიკვზიანიც. როგორც მისთვის არის ცნობილი, ტენდერი დასრულებულია, გაფორმდა ხელშეკრულებები და მალე დაიწყება წყალმომარაგების რეაბილიტირება. საუბარია სავარაუდოდ, 42 მლნ. ლარის ღირებულების სამუშაოებზე.

საკრებულოს წევრმა **ილისო ჩიჭინაძემ** პირველ რიგში მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ლესაში დასრულდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ისეთ უბნებშიც კი, სადაც არასდროს არ ყოფილა წყალი, დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია. დარჩა მხოლოდ ერთი პაჭარა უბანი „რკინიგზის პირი“, სადაც საუბარია 300-400 მიწრი სიგრძის მილზე. საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ გამოინახოს ოინანსური საშუალება, რათა გადაიჭრას ეს საკითხი, რის შემდეგაც, ლესაში ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებული იქნება წყალმომარაგების პრობლემა. ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ძალიან კარგი სოციალური პროგრამები, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ყველას მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. აქედან გამომდინარე, მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ ლესაში იშლება სკოლის შენობა და სოციალურად დაუცველ იმ ოჯახებს, რომელთაც ამის საჭიროება აქვთ, გადაეცეთ დაშლილი

სამშენებლო მასალა. საუბარია 7-8 ოჯახზე. ამის შესახებ დეპუტატმა დაახლოებით ორი თვის წინ მოახსენა მუნიციპალიტეტის მერს და შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაც მიეწოდა ინფორმაცია, მაგრამ პროცესი დროშია გაწელილი.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, რამდენიმე დღის წინ შეხვედრაზე ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წამომადგენელმა დააყენა წყლის სისტემის მოწესრიგების საკითხი, რის შემდეგაც, შეთანხმდნენ, რომ ის ადგილზე წაიყვანს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს, მოხდება პროექტის მომზადება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ლესაში წყლის პრობლემა საბოლოოდ იქნება აღმოფხვრილი. რაც შეეხება საშენი მასალების გადაცემას, ქონება, რომელიც იშლება, არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსზე, რომელსაც მუნიციპალიტეტმა მიმართა წერილობით, მაგრამ ჯერ-ჯერობით აღნიშნული ქონების გადმოცემა არ მომხდარა. მუნიციპალიტეტის მერისთვის ცნობილია, რომ ჯერ სკოლებისთვის ხდება მასალის გადაცემა და მხოლოდ ამის შემდეგ მომართავენ მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიკაზიანში არის მჩრეთი, სადაც ყოველ პარასკევს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან მოდის და ლოცულობს მუსლიმი მოსახლეობა-დაახლოებით 500 კაცი. საუბარი შეეხება გზის მოწესრიგებას. მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურები საქმის კურსშია. პროექტი მზადაა და რაც შეიძლება მალე უნდა გააკეთდეს, რადგან ეს არა მარტო ნიკაზიანის, არამედ, მთლიანად მუნიციპალიტეტის საქმეცაა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ რეგიონალური ფონდის თანხების განკარგვისას ეცოდინებათ, თუ რა იქნება ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად მოხდება აღნიშნული საკითხის განსჯა და შესაბამისად, განხორციელდება აღნიშნული გზის რეაბილიტირება.

საკრებულოს წევრი **ირაკლი მარშანიშვილი** დაინტერესდა სოფელ გულიანში წყლის მიწოდების პრობლემასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** შეეხო არა მარტო გულიანის, არამედ სუფსის სიტუაციასაც და განმარტა, რომ თანხა შემსრულებლისთვის არ არის გადარიცხული. ამისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში 280 000 ლარია გათვალისწინებული. გაკეთდა ჭაბურღილი, მაგრამ წყლის ამოსვლა არ მოხდა. უახლოეს დღეებში საპროექტო სამსახური, შემსრულებელი და საზედამხედველო კომპანია „რეალექსპერტი“ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად იმსჯელებენ, რათა გაირკვეს თუ ვის მიერ უნდა იქნას შექმნილი პრობლემა აღმოფხვრილი, თუ არადა გადაეცემა შესაბამის სტრუქტურას, რომელიც მოახდენს სათანადო რეაგირებას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე







გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

29 იანვარი 2021 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10 ⁴⁵	
2	ვლადიმერ ნანაძე	10 ⁵⁵	
3	ვერიკო კვიციანი	10 ¹⁵	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 ⁴⁵	
5	გიორგი ჩახვაძე	10 ⁵⁰	
6	გიორგი გვარჯალაძე		
7	ემზარ თევდორაძე		
8	ბესიკ კუპრაძე		
9	გოგი მორჩილაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	10 ⁵¹	
11	ლელა ჩახვაძე	10 ⁴⁵	
12	ზაზა წულაძე	10:55	
13	კახა ბოლქვაძე	10:57	
14	ციცინო ჩხაიძე	10:50	
15	კარლო კვიციანი	10 ⁵⁵	
16	ზურაბ კუკულავა		
17	იოსებ ჩხაიძე		
18	ოთარ პატიშვილი	10:55	
19	ელისო ჭიჭინაძე	10	
20	ამირან ქანთარია		
21	დავით ჩხარტიშვილი	10 ⁵⁵	
22	აკაკი იმნაიშვილი		
23	ზაალ სანაძე	10:55	

24	რევაზ კვერენჩილაძე	10:56	1. 
25	კახაბერ ასკურავა		
26	ამირან გიგინეიშვილი	10:50	
27	ირაკლი მარშანიშვილი	10:50	
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე	10:55	
30	კახა თედორაძე	10:55	
31	რეზო კვაჭაძე	10:53	
32	ვენე კვიციანი	10:55	